საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება

N გ-19-19/665
28/11/2019

665-გ-19-1-4-201911281101

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2019 წლის 22 აგვისტოს № გ-19-7 / 490 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ შპს „Batumi car tour“-მა (რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის მიერ 2011 წლის 25 მაისს; ს.კ. №445397589) კომისიას მიმართა განცხადებებით (კომისიაში რეგისტრაციის №შ-19-7/4373, 14.11.19 და №შ-19-7/4384, 14.11.19) ქ.ბათუმში მეტრულ დიაპაზონში აპარატურული ხარვეზის გამო, მინიჭებული ორი სიხშირის **154.475 მჰც და 160.475 მჰც** (თითოეული ზოლის სიგანით 25 კჰც) შეცვლის თაობაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2019 წლის 22 აგვისტოს № გ-19-7/490 გადაწყვეტილებით შპს „Batumi car tour“-ს მიეცა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის № **F 2141** უფლება და მიენიჭა სიხშირე **154.475 მჰც, 160.475 მჰც** (თითოეული ზოლის სიგანით 25 კჰც) ქ. ბათუმში, ერთი წლის ვადით - 2019 წლის 23 აგვისტოდან 2020 წლის 23 აგვისტომდე.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ კომისიის აპარატის სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტის 2019 წლის 22 ნოემბრის №19-10-2151 სამსახურებრივი ბარათის თანახმად შპს „Batumi car tour“-ს შესაძლებელია მიენიჭოს სიხშირეები **154.675 მჰც და 160.425 მჰც** (თითოეული ზოლის სიგანით 25 კჰც) **154.475 მჰც და 160.475 მჰც** სიხშირეების ნაცვლად, ქ. ბათუმში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. შევიდეს ცვლილება კომისიის 2019 წლის 22 აგვისტოს № გ-19-7/490 გადაწყვეტილებაში და მისი პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიენიჭოს შპს „Batumi car tour“-ს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლება № **F 2141** შემდეგი პირობებით: სიხშირეები - **154.675 მჰც, 160.425 მჰც** (თითოეული ზოლის სიგანით 25 კჰც) ქ. ბათუმში, ერთი წლის ვადით - 2019 წლის 23 აგვისტოდან 2020 წლის 23 აგვისტომდე, ოპერატიული რადიოკავშირისთვის, არაავტორიზებადი საქმიანობისთვის, დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით;“;

2. დაევალოს კომისიის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „Batumi car tour“-სთვის გაგზავნა (ნ.ჯავახიძე) და კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნება (ნ. შოვნაძე);

3. დაევალოს შპს „Batumi car tour“-ს გადაწყვეტილების მიღებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში, უზრუნველყოს კომისიის რადიოელექტრონული მოწყობილობების რეესტრში, ამავე რეესტრით გათვალისწინებული ინფორმაციის ელექტრონული წესით ასახვა (ვებ მისამართი: http://reestri.gncc.ge/); რადიოელექტრონული მოწყობილობების რეესტრით გათვალისწინებული პარამეტრების ცვლილება რეესტრში ასახულ იქნას ცვლილების განხორციელებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6) შპს „Batumi car tour“-სთვის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;
5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სპექტრის და ტექნოლოგიის დეპარტამენტს (ლ.ლაშქარავა) და სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე

წევრი

ელისო ასანიძე

წევრი